დოქტორანტობის კანდიდატთა საყურადღებოდ!!!

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს დოქტორანტურაში შემდეგი სადოქტორო კვლევის პროგრამების განსახორციელებლად:

1. „იმუნური უჯრედების მეთილირების პროფილი კისტური ფიბროზის დროს: მკურნალობის პოტენციური სამიზნე“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. ეკა კვარაცხელია,

პროფ. მიხაელ ლენცე

სამეცნიერო კონსულტანტი – ასოც. პროფ. ია ფანცულაია

2. „MTHFR გენის C677T პოლიმორფიზმთან ასოცირებული ეპიგენეტიკური ცვლილებები და მისი კავშირი შაკიკის განვითარების რისკთან საქართველოს პოპულაციაში“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. ელენე აბზიანიძე,

ასოც. პროფ. ეკა კვარაცხელია

სამეცნიერო კონსულტანტი – ასოც. პროფ. ნათელა ოკუჯავა

3. „ჰოსპიტალური ჩირქოვან–ანთებითი გართულებების ინფექციური კონტროლის მიკრობიოლოგიური ასპექტები დღენაკლულ ახალშობილებში ნეონატალურ პერიოდში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. დარეჯან ჩიკვილაძე

4. „სუბლინგვური იმუნოთერაპიის ეფექტურობა და უსაფრთხოება ალერგიული ასთმის და რინიტის დროს (რეტროსპექტული, რეპლიკაციული, სისტემური მეტა–ანალიზური კვლევა)“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ქეთევან მაჭავარიანი

სამეცნიერო კონსულტანტი – პროფ. ალექსანდრე თელია

5. „პორტული კომპლექსის ნაღვლისისხლძარღვოვანი ელემენტები მექანიკური ქოლესტაზის პირობებში“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ილია ჭანუყვაძე

6. „მსხვილი ნაწლავის კიბოს გართულებული ფორმების ქირურგიული მკურნალობის ოპტიმიზების საკითხისათვის“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ზაზა დემეტრაშვილი

7. „ნაწლავური ფლორის კორექცია თირკმლის ქრონიკული დაავადებების დროს ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. ირმა ჭოხონელიძე,

ასოც. პროფ. თამარ ყანდაშვილი

8. „ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტების ნაწლავური მიკროფლორის მოდიფიკაციის როლი გლიკემიის კორექციაზე“

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. დავით მეტრეველი,

ასოც. პროფ. თამარ ყანდაშვილი

კონკურსი მოიცავს:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას,

ბ) გამოცდას სპეციალობაში (ტესტირება, გასაუბრება) და უცხოურ ენაში.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება თსსუ–ის რექტორის სახელზე (ივსება ადგილზე);
2. განცხადება (სააპლიკაციო ფორმა) (ივსება ადგილზე);
3. შუამდგომლობა ბოლო სამუშაო ადგილიდან, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;

4. უმაღლესი სამედიცინო განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დიპლომის ასლი;
5. სამეცნიერო შრომების სია თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. CV ან კადრების აღრიცხვის ფურცელი (სურათით და დადასტურებული ბეჭდით);
8. ფოტოსურათის (3×4) ელექტრონული ვერსია.

საბუთების მიღება იწარმოებს 2018 წლის 26 იანვრიდან 26 თებერვლის ჩათვლით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურში, ყოველდღე (შაბათ–კვირის გარდა) 10^{00}–დან 17^{00}სთ–მდე (შესვენება 13^{15}–დან 14^{00} სთ–მდე).

მისამართი: თბილისი, ვაჟა–ფშაველას 33, III სართული, ოთახი № 309.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურს (ტელ.: 254 24 66, ოთახი № 309).